ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3571140

ნომერი: AR1539464

თარიღი : 25.09.2017

გაცემის თარიღი : 02.10.2017

გაცნობის თარიღი : 02.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ძმ. ზუბალაშვილები , N 42 / ქალაქი თბილისი , ქუჩა რიწა , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბ მექვაბიშვილი პ/ნ 61001025751
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 215 ბ. 43

ორგანიზაცია:
- შპს ,,სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი" კოდი: 405062836

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის

24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 25 სექტემბრის AR1539464 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში ზუბალაშვილების ქუჩა N42-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.15.05.005.048) მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.
პასუხად გაცნობებთ, იმისთვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ უნდა იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული ანალიტიკური კვლევა და სრულყოფილი დასაბუთება, ასევე ზემოაღნიშნული კვლევის რეკომენდაციების გათვალისწინებით დამუშავებული პანორამული ხედები, ქალაქის მაღალი ნიშნულებიდან და ქუჩის განშლები, ასევე დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს გენ-გეგმა, საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების ჩვენებით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 25 სექტემბრის AR1539464 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.